ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4564881

ნომერი: AR1689595

თარიღი : 22.06.2019

გაცემის თარიღი : 27.06.2019

გაცნობის თარიღი : 28.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი IV;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- ვინაიდან სამსახურის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ფუნქციით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ასევე სამსახურში დაყენებული გაქვთ საკითხი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით, რომელიც ამჯამად განხილვის პროცესშია, ხოლო წინამდებარე განცხადებით ითხოვთ დროებითი ღობის მოწყობას, რომელიც განკუთვნილი იქნება მშენებლობის პერიოდისთვის, აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო დროებითი ღობე გათვალისწინებული უნდა იყოს არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარულ გრაფიკში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.